

დასაქმებულთა შრომის უსაფრთხო პირობების დაცვის სამართლებრივი
მექანიზმები და მათი აღსრულების პრობლემა პრაქტიკაში

თამთა ყაზიშვილი

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: ერეკლე კალატოზიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა ყაზიშვილი

2022 წელი

აბსტრაქტი

შრომის უსაფრთხო პირობები, მასთან დაკავშირებული რისკები და მძიმე შედეგები ის საკითხებია, რაც მუდმივ კონტროლს მოითხოვს, ვინაიდან შრომა და სამუშაო ადგილი იქცა „ფრონტად“ სადაც დაშავებულთა და დაღუპულთა ერთიან რაოდენობას უკვე მრავალნიშნის რიცხვები აღნიშნავს. შრომა შეიძლება მრავალგვარი იყოს: მძიმე, მსუბუქი, ფიზიკური, გონებრივი და სხვა, თუმცა ის აუცილებლად უნდა იყოს ასევე უსაფრთხოც. დროის გასვლამ ადამიანის შრომას სულ უფრო და უფრო რთული და მრავალფეროვანი ფორმები შესძინა, რასაც რისკებისა და საწარმოო შემთხვევების რაოდენობის ზრდა მოჰყვა, შესაბამისად კრიტიკულად აუცილებელი გახდა დასაქმებულთა უფლებების კანონმდებლობით სრული დაცვა და მოწესრიგება და ისეთი ქმედითი მექანიზმის შემუშავება, რომელიც იდგებოდა მშრომელთა უფლებების დაცვის სადარაჯოზე.

მიუხედავად ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, მრავალი გამართული თუ ხარვეზიანი სამართლებრივი აქტის არსებობისა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის გასული წლების და ახლა უკვე შრომის ინსპექციის სამსახურისა თუ სახალხო დამცველის სტატისტიკა იმაზე მიანიშნებს, რომ დასაქმებულთა უფლებების დაცვის საკითხებზე კომპლექსური მუშაობაა საჭირო, მათ შორის მედიის, სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო თუ სხვა სახის ორგანიზაციების ჩართულობა. კრიტიკულად აუცილებელია შრომის უსაფრთხო პირობების ინსპექტირების დამოუკიდებელი, სათანადო ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსების მქონე და ყველა სხვა დანარჩენი საჭირო ბერკეტით აღჭურვილი ორგანო. ნაშრომის მიზანსაც სწორედ ამ მიმართულებით რეალური პრობლემის იდენტიფიცირება წარმოადგენს, რაც მისი მოგვარებისკენ გადადგმული მცირე მაგრამ საწყისი და აუცილებელი ნაბიჯია.

ნაშრომის საკვლევ საგანს წარმოადგენს, როგორც ქართული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი კანონმდებლობა შრომის უსაფრთხოების სფეროში და მათგან გამომდინარე პრაქტიკული პრობლემები. ნაშრომში შეფასებულია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპის-

ევროკავშირთან ასოცირების პროცესის მნიშვნელობა. ასევე მოკლედაა აღწერილი შრომის ინსპექციის გასული ათწლეულის იტორია და უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები. ამ კუთხით შედარებით-სამართლებრივი ანალიზია გაკეთებული შრომის ინსპექციის ევროპულ მოდელთანაც. ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ასევე წარმოადგენს გასული წლების სტატისტიკის მიმოხილვა საწარმოო შემთხვევების შედეგად დაშავებულთა შესახებ, ასევე გამოკვეთილია ამ მხრივ ყველაზე პრობლემური სექტორებიც. გარდა ამისა, ყოველთვის მნიშვნელოვანია სასამართლოს ერთიანი მიდგომის წარმოჩენა ამა თუ იმ საკითხის მიმართ, შესაბამისად მოხმობილია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც და მისი მნიშვნელოვანი განმატებები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვაში დამსაქმებლებისა და დასაქმებულების როლების გადანაწილებასთან დაკავშირებით.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: შედარებით-სამართლებრივი, აღწერითი, დოქტრინალური, სისტემური და შეფასებითი მეთოდები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ შრომის უსაფრთხოების კუთხით ასეთი რთული ვითარება საქართველოში გამოწვეული იყო წლების განმავლობაში, სახელმწიფოსა და დამსაქმებლების უმოქმედობით, ერთი მხრივ სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის და მეორე მხრივ, ამგვარი დარღვევების რეაგირებისა და პასუხისმგებლობის გარეშე დატოვების გამო, რაც გამოწვეული იყო სათანადო სამართლებრივი საფუძვლებისა და მაკონტროლებელი ოგრანოს არ არსებობით. ასევე შეიქმნა გარკვეული სურათი თუ რა გზა განვლო ქართულმა კანონდებლობამ და არსებულმა რეალობამ იქამდე, სანამ მიღებული იქნებოდა შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი მოქმედი რედაქციით და რა დადებითი პერსპექტივის მომცემია ახლადამოქმედებული შრომის ინსპექცია.

ნაშრომის მთავარი საძიებო სიტყვები: შრომის უსაფრთხო პირობები, ინსპექტირება, საკანონმდებლო საფუძველი, პრაქტიკული პრობლემები.

ABSTRACT

Safe labour standards and the risks and results that are connected to it, is the task which requires regular control, because working process became the “front” where the number of injured and perished people is marked by number expressed by several figures. Labour can be various: heavy, easy, physical, intellectual but it also must be safe. Over the time labour became diverse and constructional and it caused increase the number of occupational incidents. That is why it critically necessary for employees to be protected by the law and other effective ways which is guarantee of worker’s rights.

Despite the fact that there are many legislative act in Georgia, the statistics of the department of labour inspection and an ombudsman shows that the protection of worker’s right requires complex work from media, civil sector, international organizations and e.t.c. It is also important for country to have an independent and active organization of inspection. The main task of this writing is to identify the problem that is the little, but first and main step to solve this problem.

The main goal of the research is also to review Georgian and international legislation about safe labour and the practical problems. In the article is showed off the importance of the association agreement between the European Union and the European Atomic Energy community and their member states, of the one part and Georgia, also the position and attitude of the judges, statistics and problematic spheres of the entrepreneurship.

The article uses the following research methods: comparative legal, descriptive, doctrinal, systematic and evaluative methods.

As it is clear, the inactivity of the government and abolish the rules by the employers during the years, caused all the hardships in worker’s life. But there are also interesting perspectives because of founding new labour inspection and the law about the standards of safe labour.

Key words of the article: Safe labour standards, Inspection, Legislation, Practical problems.